გაცნობებთ, რომ აშშ CDC რეგიონული წარმომადგენლობის (CDC EECA) მიერ კვლავ გამოცხადდა რეზიდენტებისა და მენტორების შერჩევა საველე ეპიდემიოლოგიის სწავლების პროგრამაში (FETP Intermediate) მონაწილეობის მისაღებად, რომელიც დაიწყება 2024 წლის იანვრიდან.

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას და უკრაინის ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორებიდან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტების და ვეტერინარების გადამზადებას აღნიშნულ კურსში.

<u>რეზიდენტებისთვის:</u>

ყველა დაინტერესებულმა კანდიდატმა რეზიდენტების კოჰორტაში მოსახვედრად **<u>2023 წ. 2 ოქტომბრამდე</u>** უნდა შეავსონ აპლიკაცია, რომელიც განთავსებულია ბმულზე:https://icapacity.icap.columbia.edu/en-us/job/497606/fetpi-resident

განაცხადის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. აპლიკაციის ფორმის შევსება
2. CV
3. განათლების და შესაბამისი პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დიპლომის / სერტიფიკატის ასლების ატვირთვა;
4. დაწესებულების ხელმძღვანელი პირის და აკადემიური წრეების წარმომადგენლის 2 წერილი რეკომენდაცია;
5. უშუალო ხელმძღვანელის მხარდაჭერის წერილი პროგრამაში თქვენი აქტიური მონაწილეობის, მონაცემებზე წვდომის უფლების და შემდგომი სულ მცირე 2 წლის განმავლობაში დაწესებულებაში მუშაობის გაგრძელების დასტურის შესახებ.
6. სამოტივაციო წერილი პროგრამაში მონაწილების შესახებ (1 გვერდიანი / 800 სიტყვა)

განაცხადების რევიზიის შემდეგ შერჩეულ აპლიკანტებს ჩაუტარდებათ პროფესიული ტესტირება საბაზისო ეპიდემიოლოგიაში, წარმატებულად გავლის შემდეგ მოწვეულ იქნებიან ონლაინ გასაუბრებაზე.

საბოლოო გადაწყვეტილება რეზიდენტის შერჩევის პროცესში მიღებულ იქნება პროფესიული კვალიფიკაციის, გამოცდილების, ინგლისური და რუსული ენების ცოდნის დონის და ტესტირების შედეგების მიხედვით.

FETP-I პროგრამასთან დაკავშირებული შეკითხვებით, გთხოვთ დაუკავშირდეთ ელ. მისამართს fetp@cumc.columbia.edu

<u>მენტორებისთვის:</u>

შერჩევის კრიტერიუმები:

- FETP Advance ან მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებული
- სულ მცირე 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება ჯანდაცვის / სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სექტორში
- შესაძლებლობა კვირაში სულ მცირე 4 საათი იმუშაოს / ქოუჩინგი / მენტორინგი გაუწიოს პროგრამის რეზიდენტებს
- რუსული და ინგლისური ენების ფლობა
- დიგიტალური უნარ-ჩვევები (მინიმუმ საბაზისო დონე)
- პირადი ხელმძღვანელის და დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის წერილი პროგრამაში აქტიური ჩართულობის მიზნით სამუშაო ადგილზე არყოფნის შესახებ; ეპიდემიოლოგიურ მონაცემებზე წვდომის უფლების შესახებ
- ინტერპერსონალური კომუნიკაციის მაღალი დონე
- პრობლემის ეფექტურად გადაჭრის უნარები
- მენტორად მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესად.

ყველა დაინტერესებულმა პირმა განაცხადი უნდა შეავსოს **<u>2023 წლის 4 ოქტომრამდე</u>** ბმულზე: https://icapacity.icap.columbia.edu/en-us/job/497614/fetpi და ატვრითონ შესაბამისი დოკუმენტაცია:

- CV
- განათლების და პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დიპლომის და სეტიფიკატების ასლები
- უშუალო ხელმძღვანელის თანხმობის წერილი პროგრამაში აქტიური მონაწილეობის მიზნით სამუშაო ადგილზე არყოფნის შესახებ
- არაუმეტეს 800 სიტყვისგან შემდგარი მოკლე ესე, რომელიც შეეხება: მენტორად გახდომის მიზანს, საფუძველს (კვალიფიკაცია, უნარების, გამოცდილება) მენტორად შერჩევის პროცესში, რა ცოდნა და უნარები უნდა რომ შეიძინოს მენტორად მუშაობის პროცესში და როგორ გამოიყენებს მათ საკუთარ პროფესიაში.

დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად გთხოვთ მიმართოთ ელ. მისამართს: FETP@CUMC.COLUMBIA.EDU